IBSU

# საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | განათლების მეცნიერებები (ინგლისურენოვანი) |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | ნათელა დოღონაძე, აფილირებული პროფესორი, დოქტორი,<br>ელ ფოსტა: nateladoghonadze@ibsu.edu.ge<br>მობ.: 593378929 |
| **სწავლების საფეხური** | დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)] |
| **სწავლების ენა** | ინგლისური |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | აკადემიური |
| **კრედიტების რაოდენობა** | 180 ECTS კრედიტი |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | განათლების მეცნიერებების დოქტორი / Doctor of Education Sciences |
| **დაშვების წინაპირობები** | საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პროგრამის მოთხოვნაა, რომ ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი იყოს მოპოვებული განათლების / ფსიქოლოგიის / ინგლისური ფილოლოგიის (ინგლისური ენის სწავლების კონცენტრაციისთვის) დარგში ან ფლობდეს მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60-კრედიტიანი პროგრამის სერტიფიკატს. კანდიდატს უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული სტატია (საკონფერენციო მასალების ჩათვლით) პროგრამის სფეროში. კანდიდატისთვის აუცილებელია მინიმუმ ერთწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისური ენის ცოდნის C1დონე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შზსუ-ში. ასევე საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატებმა უნდა წარადგინონ კვლევის გეგმა, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ადასტურებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წავრებისგან შედგენილი კომისია.<br>ჯგუფში სტუდენტთა დასაშვები რაოდენობაა არაუმეტეს 12.<br><br>კვლევის გეგმის შეფასების კრიტერიუმებია: |

| კრიტერიუმი / დონე | არ არის ასახული | მიუღებელი | მისაღები, მნიშვნელოვანი ცვლილებებით | მისაღები, მცირე ცვლილებებით |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პრობლემის ფორმულირება, სიახლე, კვლევის აქტუალურობა:** პრობლემა ჩამოყალიბებულია ნათლად; მოტივაცია, თუ რატომ უნდა ჩატარდეს კვლევა. | 1-4 | 5-8 | 9-12 | 13-16 |
| **ლიტერატურის მიმოხილვა:** ცოდნის დემონსტრირება კვლევას თემსთან დაკავშირებული საკითხების მიმართ | 1-4 | 5-8 | 9-12 | 13-16 |
| **თეორიული და პრაქტიკული ღირებულებები:** დემონსტრირება, თუ რა გავლენას ახდენს ჩასტარებული კვლევა დარგის განვითარებაზე | 1-4 | 5-8 | 9-12 | 13-16 |
| **მეთოდოლოგია: აღწერს საკვლევი პრობლემის ამოხსნის და შესწავლის ადეკვატურ მეთოდოლოგიას** | 1-4 | 5-8 | 9-12 | 13-16 |
| **შედეგები:** მიღებული შედეგების/მონაცემების ეფექტური ანალიზი და ინტერპრეტაცია | 1-4 | 5-8 | 9-12 | 13-16 |
| **კომუნიკაცია:** წერითი და მეტყველებითი კომუნიკაციის ხარისხი | 1-5 | 6-10 | 11-15 | 16-20 |
| **სულ:** | | | | 100 |

* კანდიდატი, რომელიც მიიღებს სულ ცოტა 51 ქულას წინა კრიტერიუმების მიხედვით, დაიშვება ინტერვიუზე; კანდიდატს, რომელიც მოაგროვებს 41-50 ქულას, შეუძლია ხელახლა შემოიტანოს გეგმა საბუთების ჩაბარების მითითებულ ვადებში.

**კანდიდატი, რომელიც ინტერვიუში მოაგროვებს სულ ცოტა 9 ქულას, შეიძლება მიღებულ იქნას პროგრამაზე.

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე განათლების მუშაკები და მკვლევარები, რომლებსაც გათვითცნობიერებული ექნებათ განათლების ცნებები / ტერმინოლოგია, თეორიები და პრაქტიკა, შეძლებენ შესწავლილი თეორიების პრაქტიკულად გამოყენებას, კრიტიკულ ანალიზს, მათზე დაყრდნობით პრობლემების დაგაჭრას, კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა განახორციელონ განათლების თემატიკაზე, გააგრძელონ |

<table>
<tr><td></td><td colspan="2">პროფესიული თვითგანვითარებადა უხელმძღვანელონ სხვების კვლევებს, ასწავლონ და მოსწავლეების ცოდნა შეაფასონ თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები იდგნენ მოსწავლეზე ორიენტირებული და ჰუმანისტური პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის პლატფორმაზე. პროგრამის კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ იმუშაონ მასწავლებლად, ლექტორად, ადმინისტრაციულ თანამდებობაზეგანათლების სფეროში, გაატარონ პრაქტიკაში მეცნიერულად დაფუძნებული სიახლეები და გაავრცელონ მათ შესახებ ცონდა პედაგოგიურ და ფართო საზოგადოებაში.</td></tr>
<tr><td rowspan="4">სწავლის შედეგები</td><td colspan="2">სწავლის შედეგი:</td></tr>
<tr><td>ცოდნა და გაცნობიერება</td><td><ul><li>სტუდენტს აქვს განათლების ცნებების / ტერმინების და ასევე თეორიების ცოდნა, რომელიც საშუალებას აძლევს დამოუკიდბლად იმუშაოს საგანმანათლებლო ლიტერატურაზე - სახელმძღვანელოებზე, მონოგრაფიებზე, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე;</li><li>სტუდენტმა იცის სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდები, მსოფლიოში გავრცელებული სწავლებისა და განათლების ადმინისტრირების გამოცდილება, უახლესი ტენდენციები;</li><li>სტუდენტმა იცის განათლების მიმდინარე რეფორმების არსი, მოთხოვნები და მდგომარეობა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ;</li><li>სტუდენტმა იცის, თუ როგორ განაახლოს და გააღრმაოს</li></ul></td></tr>
<tr><td>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</td><td><ul><li>სტუდენტს შეუძლია, შეარჩიოს კვლევის თანამედროვე თემა განათლების დარგში, ამ თემის გათვალისწინებით განახორციელოს ლიტერატურის მოძიება და ანალიზი, დასვას პრობლემური კითხვები, შეარჩიოს კვლევის ადეკვატური მეთოდები და შეიმუშაოს ჰიპოთეზა, შემდეგ კი შეამოწმოს მისი ნამდვილობა;</li><li>სტუდენტს შეუძლია, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს საგანმანათლებლო პროცესისა ან/და მისი ადმინისტრირების კვლევა, მოამზადოს მიღებული შედეგები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციისათვის;</li><li>მას შეუძლია სხვა სტუდენტების სწავლისა და კვლევის ზედამხედველობა.</li></ul></td></tr>
<tr><td>დასკვნის უნარი</td><td><ul><li>სტუდენტს შეუძლია, განახორციელოს წაკითხული სამეცნიერო ლიტერატურის, მას-მედიიდან მიღებულისაგანმანათლებლოინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და შეფასება, მათზე დაყრდნობით, გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების გადაჭრა;</li></ul></td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | • კვლევის ცნობილ მეთოდებზე დაყრდნობით, საკუთარი კვლევითი პლატფორმის (ანკეტების, ინტრევიუს საკითხების, ცოდნის შესაფასებელი ტესტების) შემუშავება, განათლების სფეროს ექსპერიმენტის დაგეგმვა და განხორციელება, შედეგების ინტერპრეტაცია. |
| | **კომუნიკაციის უნარი** | • სტუდენტს შეუძლია ისაუბროს ინგლისურად საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოებასთან უახლეს პედაგოგიურ თემატიკაზე, მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-პროფესიულ დებატებში, წარადგინოს საკუთარი სამეცნიერო ნაშრომი პრეზენტაციის სახით კონფერენციაზე და დისერტაციის დაცვისას, გასცეს პასუხი დაინტერესებულ პირებს, მოახდინოს პროფესიული წერილობითი ურთიერთობა;<br>• სტუდენტს შეუძლია საკუთარი აზრის ეფექტურად მიტანა მსმენელამდე, მათი წარმოდგენა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, ასევე ადეკვატური 'სხეულის ენის' (მიმიკა, ჟესტები) გამოყენებით. |
| | **სწავლის უნარი** | • დოქტორანტს შეუძლია ეფექტურად დაგეგმოს საკუთარი სწავლა, პროფესიული განვითარება, განახორციელოს იგი დამოუკიდებლად და მოახდინოს ამ პროცესის მონიტორინგი;<br>• დოქტორანტი მზად არის განახორციელოს სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაო (პროექტი, პუბლიკაციისა და საკონფერენციო პრეზენტაციის მომზადება). |
| | **ღირებულებები** | • დოქტორანტი იზიარებს თანამედროვე განათლების მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დემოკრატიულ და ჰუმანისტურ პათოსს;<br>• დოქტორანტი სიღრმისეულად აფასებს ინოვაციებს განათლებაში, პირადად ნერგავს მათ სასწავლო პროცესში და ხელს უწყოს მათ ფართო გავრცელებას;<br>• დოქტორანტს შეუძლია წვლილი შეიტანოს თანამედროვე საგანმანათლებლო ღირებულებების პედაგოგიურ საზოგადოებაში გავრცელებაში და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.<br><br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას. | |

| | |
|---|---|
| | შეფასების სისტემა უშვებს:<br><br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br><br>1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;<br><br>2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;<br><br>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;<br><br>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;<br><br>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.<br><br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br><br>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br><br>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br><br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br><br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br><br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br><br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, |

| | |
|---|---|
| | მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br>დისერტაციის შეფასება დაცვისას ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: |

| | კრიტერიუმი | მაქსიმალური შესაძლებელი შეფასება | მინიჭებული ქულა | |
|---|---|---|---|---|
| 1 | აქტუალობა | 10 | | |
| 2 | კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა | 10 | | |
| 3 | მისი თეორიული მნიშვნელობა | 10 | | |
| 4 | სიახლე | 10 | | |
| 5 | საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნები სორიგინალობა | 15 | | |
| 6 | კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის / მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა) | 5 | | |
| 7 | დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, დისერტაციის ძირითადი | 15 | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | დებულებების წარმოდგენა) | | |
| 8 | დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა | 15 | |
| 9 | დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა | 10 | |
| | | | |
| **სულ** | | 100 | დაიცვა / ვერ დაიცვა |

შეფასების 1-6 კრიტერიუმი მოიცავს როგორც დისერტაციას, ისე პუბლიკაციებს. დეტალური რუბრიკები წარმოდგენილია სილაბუსში.

დისერტაციის შეფასება საბოლოოდ ხდება შემდეგი შეფასების გამოყენებით:

ა) **ფრიადი(*summa cum laude*)** – 91-100 ქულა,შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) **ძალიან კარგი(*magna cum laude*)** – 81-90 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) **კარგი(*cum laude*)** – 71-80 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
**დ) საშუალო (*bene*)** – 61-70 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
**ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*)** – 51-60 ქულა, შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
**ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*)** – 41-50 ქულა, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
**ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*)** – 40 ქულა ან ნაკლები, შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ზემოთ მოყვანილი„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“

| | |
|---|---|
| | ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. |
| **დასაქმების სფერო** | პროგრამით გათვლისწინებული ორივე კონცენტრაციის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ სამთავრობო და არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულებებში და იყვნენ მკვლევარები განათლების მეცნიერებებში. ასევე, იმუშაონ უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ლექტორად ან/და ადმინისტრაციულპირად.<br>ინგლისური ენის სწავლების კონცენტრაციის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ასწავლონ ძირითადად ინგლისურიენა და სხვა, ინგლისურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული საგნები; მათ ასევე შეუძლიათ წაიკითხონ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის სასწავლო კურსები.<br>განათლების ადმინისტრირების კონცენტრაციის კურსდამთავრებულები ძირითადად შეიძლება დასაქმდნენ განათლების ადმინისტრატორებად, მაგრამ ასევე შეუძლიათ ამ ციკლის და ზოგადად პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ციკლის სასწავლო კურსების წაკითხვა. |